საგნები და მათი თვისებები

საშუალო დონე

2



საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე,
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN

თბილისი
2019 წელი

საგნები და მათი თვისებები

საშუალო დონე

2

ადამიანები საგნების დასამზადებლად სხვადასხვა მასალას იყენებენ.

თუ ვიცით საგნის დანიშნულება, ადვილად შევარჩევთ საჭირო მასალას მის დასამზადებლად.

ბილიარდის ბურთი მაგიდაზე უნდა გაგორდეს და გაუძლოს ხის ჯოხის დარტყმას. ამიტომ ბილიარდისთვის ამზადებენ პატარა, მყარ, მძიმე და პრიალა პლასტმასის ბურთებს.

ბილიარდის ბურთით წყალში ვერ ითამაშებ. წყალში სათამაშო ბურთებს ამზადებენ წყალგაუმტარი და მსუბუქი მასალისგან რეზინისგან.

რეზინის ბურთი წყალზე ტივტივებს, მსუბუქია და წყლით არ იჟღინთება. ამიტომ რეზინის ბურთს წყალბურთის სათამაშოდ იყენებენ.

ზოგიერთი ნივთის დასამზადებლად სხვადასხვა მასალას იყენებენ.

ჩანთის დასამზადებლად იყენებენ ტყავს ან ქსოვილს; ჩანთების საკეტის დასამზადებლად იყენებენ რკინას ან ნიკელს.

ნივთები სხვადასხვა ფერისაა. ფერის შეცვლამ შეიძლება არ შეცვალოს ნივთის სხვა ნიშან-თვისებები. წითელი ველოსიპედი ლურჯი ველოსიპედივით მოძრაობს. ზოგიერთი ნივთის ფერები ინფორმაციას აწვდის ადამიანებს: შუქნიშნის ფერები ინფორმაციას გვაძლევს ქუჩაში მოძრაობის წესებზე. შუქნიშნის მწვანე შუქზე ქუჩაზე გადავდივართ, წითელ შუქზე ვჩერდებით.

დააკვირდით თქვენ გარშემო არსებულ ნივთებს. გამოიკვლიეთ, რა მასალისგანაა ისინი დამზადებული, როგორ უკავშირდება ეს მასალა საგნის დანიშნულებას.